1940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის
დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივლისის 20 № 18 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

68. კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

69. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დაბულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

68. კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 20 აპრილის დადგენილებისა „ტყავნედლეულის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ., № 10, მუხ. 252) და 1940 წ. 23 ივნისის დადგენილებისა „სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის ჩაბარების შესახებ", (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 18, მუხ. 434). საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ქვემოთაღნიშნული ნორმები, რაც დაწესებულია საქართველოს სს რესპუბლიკისათვის და რაც გამოიანგარიშება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული 100 ჰექტარი მიწის ფართობიდან (სახნავი მიწა, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის ტყავისათვის გავრცელდეს უდიფერენციაციოდ საქართველოს სსრ ყველა რაიონზე:

	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავი:			
ა) დიდი	1	1,1	1,2
ბ) საშუალო	0,5	0,7	1
ღორის ტყავი	0,5	1	1

2. დაწესდეს 1940 წლისათვის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრისა და თხის ტყავის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი რაიონობრივი ნორმები, რა გამოიანგარიშება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული 100 ჰექტარი მიწის ფართობიდან (სახნავი მიწა, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები):

ახალქალაქის	7	გურჯაანის	7
ბოგდანოვკის	7	სიღნაღის	15
ახალციხის	3	წითელწყაროს	15
ადიგენის	3	თელავის	10
ასპინძის	3	ყვარლის	15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშურის 7
ქარელის 7
გორის 7
კასპის 7
ბორჯომის 7
ლუქსემბურგის 7
წალკის 7
დუშეთის 7
ალბულახის 7
საგარეჯოს 7
ბაშკიჩეთის 7
თიანეთის 7
ყაზბეგის 15
ქუთაისის 3
წყალტუბოს 3
სამტრედიის 3
წულუკიძის 3
ვანის 3
მაიაკოვსკის 3
ზესტაფონის 3
ჩხარის 3
ჭიათურის 3
საჩხერის 3
ორჯონიკიძის 3
ტყიბულის 3
ონის 3
ამბროლაურის 3
ცაგერის 3
აბაშის 3
ცხაკაიას 3

ლაგოდეხის . . . . . .
თბილისის 7
მცხეთის 7
ყარაიას 15
ბორჩალოს 15
გეგეჭკორის 3
ზუგდიდის 3
ხობის 3
წალენჯიხის 3
ჩხოროწყუს 3
მახარაძის 3
ლანჩხუთის 3
ჩოხატაურის 3
ფოთის 3

აფხაზეთის ასსრ:

სუხუმის 3
გაგრის , ... 3
ოჩემჩირის 3
გუდაუთის 3
გალის 3

აჭარის ასსრ:

ბათუმის 3
ქობულეთის 3
ქედის 3
ხულოს 3

ს/ოსეთის ავტ. ოლქი:

სტალინირის 7
ზნაურის 7
ლენინგორის 7
ჯავის 7

3. განთავისუფლებულ იქნან ზემოსვანეთის და ქვემოსვანეთის რაიონების კოლმეურნეობანი, საკოლმეურნეო კომლები და ერთპიროვნული მეურნეობანი და დუშეთის, თიანეთის და თელავის რაიონების ხევსური სოფლები ყოველგვარი სახის ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

4. დაევალოს ხულოს, ქედის, ქობულეთის, ბათუმის, ბაშკიჩეთის, ლუქსემბურგის, ბორჩალოს, ყარაიას, ასპინძის, ადიგენის, ახალციხის და ახალქალაქის რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულებს ნება დართონ იმ კოლმეურნეობებს, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც ღორის სულადობის მოშენებას არ ეწევიან ადგილობრივი პირობების მიხედ-
ვით, შესცვალონ ღორის ტყავის ჩაბარება ცხვრის ან თხის ტყავით შემდეგი
ეკვივალენტით: 4 კილოგრამი წონის ერთ ღორის ტყავში დაწესებული ზომის
ერთი ტყავი ცხვრისა ან თხისა.

დანარჩენ რაიონებში ღორის ტყავის შეცვლა სხვა სახის ტყავნედლეულით
კოლმეურნეობათა მიერ ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარების დროს, რო-
გორც წესი, არ დაიშვება; ღორის ტყავის უქონლობის შემთხვევაში შეცვლა
დაიშვება დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონული რწმუნებულის ნე-
ბართვით.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრუ-
ლებელ კომიტეტებს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუ-
ნებულებს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის სავალ-
დებულო ჩაბარების ნორმის დიფერენციაციის აუცილებლობის დროს დიფერენ-
ცირებული ნორმების პროექტი წარუდგინონ დასამტკიცებლად სსრ კავშირის
დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში არა-
უგვიანეს 15 ივლისისა, ამასთან გაითვალისწინონ, რომ ცალკეულ კოლმეურნეო-
ბებს შეიძლება შეუმცირდეს ან გაუდიდდეს სახელმწიფოსათვის ტყავნედლეუ-
ლის ჩაბარების რაიონული ნორმა 30%-ის ფარგლებში ისე, რომ აუცილებლად
იქნას დაცული რაიონში ტყავნედლეულის ჩაბარების ნორმები საშუალოდ რაიო-
ნისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნე-
ბულს საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავ-
ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების დიფერენცირებული ნორმების მშრომელ-
თა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან მი-
ღების შემდეგ განიხილონ და დაამტკიცონ ეს ნორმები ორი დეკადის ვადაში.

6. საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის
1940 და 1941 წლებისათვის დაწესებული ნორმები ტყავნედლეულის სავალდე-
ბულო ჩაბარებისა თვითეული კომლიდან ცხვრის და თხის ერთი ტყავის რაო-
დენობით შეუფარდდეს უდიფერენციაციოდ საქართველოს სსრ ყველა რაიონის
საკოლმეურნეო კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს.

7. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულე-
ბელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის
რაიონულ რწმუნებულებს უზრუნველჰყონ ზუსტად შესრულება სსრ კავშირის
სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 20 აპრი-
ლის დადგენილებისა (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 10, მუხ. 252), რომლის თა-
ნახმადაც:

ა) ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან ის
მეურნეობანი, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ სახელმწიფოსათვის ხორცის
სავალდებულო ჩაბარებაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტ-
რალური კომიტეტის მიერ 1939 წ. 8 ივლისს „კოლმეურნეობებში საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 42, მუხ. 316) მიღებული დადგენილების მე-27 პუნქტის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ამ მეურნეობებს პირუტყვი ეყოლებათ, ეს მეურნეობანი ვალდებული არიან დაკლული პირუტყვის ტყავი მიჰყიდონ დამამზადებელ ორგანიზაციებს დაწესებულ შესასყიდ ფასებში;

ბ) საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის დაწესებულია, რომ ისინი ვალდებული არიან მიჰყიდონ დამამზადებელ ორგანიზაციებს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ყველა ტყავი, რასაც ისინი დაკლული პირუტყვისაგან და არაგადამდები ავათმყოფობის შედეგად დახოცილი პირუტყვისაგან მიიღებენ;

გ) მუშები და მოსამსახურები, სარეწაო, თევზჭერის არტელებისა, აგრეთვე ინვალიდთა კოოპერაციის არტელების წევრები მოვალენი არიან მიჰყიდონ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მთელი ტყავნედლეული, რასაც ისინი დაკლული და არა გადამდები ავადმყოფობის შედეგად დახოცილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ცხვრისა, თხისა და ღორისაგან მიიღებენ;

დ) ერთპიროვნული მეურნეები, რომლებიც ვალდებულებათა ჩაბარების მომენტისათვის მუშაობენ სეზონურ სამუშაოზე ან მუდმივ სამუშაოზე ერთ წელზე ნაკლებს, სახელმწიფო ტყავნედლეულს სავალდებულო წესით აბარებენ ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის დაწესებული ნორმის მიხედვით;

ე) ერთეული შინამრეწველები, რომლებიც სასოფლო ადგილებში და საგარაკო დაბებში ცხოვრობენ და რომლებსაც საკარმიდამო ან სამინდვრო ნაკვეთი მიწა აქვთ, ტყავნედლეულს სავალდებულო წესით აბარებენ მოცემული რაიონის ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

8. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის ყველა რაიონის რწმუნებულებს არაუგვიანეს 1 აგვისტოსი დაამთავრონ კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის ჩაბარების ვალდებულებათა გადაცემა და არაუგვიანეს 15 აგვისტოსი წარუდგინონ სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში საბოლოო ანგარიშები ჩაბარებულ ვალდებულებათა შესახებ.

9. წინადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს შეამოწმონ, თუ რამდენად სწორად ჩატარდა 1940 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების და სახელმწიფო შესყიდვის წესით ცოცხლად ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, თხისა და ცხვრის ტყავის ჩათვლა კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის, აგრეთვე, თუ როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეობათა მიერ ცოცხალი წონით ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, თხისა და ღორის ტყავის და საკოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ 1939 წელს სახელმწიფოსათვის 1940 წლის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში საავანსო წესით ცოცხლად ჩაბარებული ცხვრის, თხისა და ღორის ტყავის ჩათვლა სახელმწიფოსათვის 1940 წელს ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში და მიიღონ საჭირო ზომები ჩათვლის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად.

10. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და მის რაიონულ ორგანოებს, ცეკავშირის პრეზიდიუმს, „ზაგოტჟივსირიოს“ საქართველოს კანტორას და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „ზაგოტსკოტს“ მოაგვაროონ კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ ტყავნედლეულის ვალდებულებათა შესრულების ზუსტი აღრიცხვა და ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ჩაბარებული ტყავნედლეულის სწორად მიღება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ივლისის 6. № 1276.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

69. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტის „საქავტოტრესტის" მოწყობის შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 7, მუხ. 48):

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 14 თებერვლის დადგენილება „საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტის „საქავტოტრესტის" საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 7, მუხ. 43).

3. „დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შესახებ," რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ დადგ. კრებ. 1938 წ. № 9, მუხ. 47).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივნისის 28. № 1187.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 56 და 58 მუხლებისა, არის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს ევალება:

ა) საქართველოს სსრ სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელობა და წესიერი გამოყენების ორგანიზაცია;

ბ) საავტომობილო პარკის რემონტის და მომსახურეობის ორგანიზაცია (ავტო-სარემონტო და სალტე-სარემონტო წამოწყებანი, მომსახურეობის სადგურები, ბენზინ-სვეტები);

გ) კადრების მომზადება საავტომობილო მეურნეობისათვის.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარი შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 52 მუხლისა, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის და მეურნეობის იმ დარგების საქმიანობას რომელნიც მას ექვემდებარებიან.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი, შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 53 მუხლისა, მომქმედ კანონთა, და აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და ამოწმებს მათ შესრულებას.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ნორმები და დებულებანი, რაც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციას, რემონტს, აღრიცხვას, საავტომობილო ტრანსპორტისათვის კადრების მომზადებას, საავტომობილო წამოწყებათა მშენებლობას და სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვათა ტარიფები სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ყველა სახალხო კომისარიატებისა, დაწესებულებათა და წამოწყებათა საავტომობილო ტრანსპორტისათვის.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

II. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი:

ა) აწყობს სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციას და რეგულარულ მოძრაობას ქალაქებში, საავტომობილო მაგისტრალებზე, შარაგზებზე და ქალაქების რკინიგზის სადგურებისა და წყალსავალ გზების ტვირთ-დაძაბულ მისასვლელებზე, აგრეთვე ანხორციელებს საერთო სარგებლობის საწყობთა ექსპლოატაციას და ასრულებს სატრანსპორტო საექსპედიციო ოპერაციებს.

ბ) ავტო-სარემონტო საწარმოთა (ავტო-სარემონტო ქარხნები, ავტო-სარემონტო სადგურები, სალტე-სარემონტო სახელოსნოები და ა. შ.) ქსელის გაშლის საშუალებით ანხორციელებს საავტომობილო ტრანსპორტის რემონტის ორგანიზაციას.

გ) აწყობს საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურეობას რისთვისაც ანვითარებს მომსახურეობის სადგურების, შესაკაზმი სადგურების, გარაჟებისა და მანქანათა შენახვის უგარაჟო დანადგარების ქსელს, აგრეთვე ატარებს ავტომობილების მომსახურეობისა და რემონტისათვის სპეციალურ მოწყობილობათა წარმოების ორგანიზაციას.

დ) ანხორციელებს შოფერების, შემკეთებლების და ტექნიკოსთა კადრების მომზადებას და გადამზადებას თავის სისტემაში მასობრივი კურსების, საფაბრიკო-საქარხნო მოსწავლეთა სკოლების, საავტომობილო სკოლების და ტექნიკუმების ქსელის ორგანიზაციის საშუალებით.

ე) ადგენს საქართველოს სსრ მთელ საავტომობილო ტრანსპორტისათვის ავტო-მანქანათა ექსპლოატაციისა, მომსახურეობისა და რემონტის ერთიან სავალდებულო ნორმებს;

ვ) ამტკიცებს გარაჟებისა, უგარაჟო დანადგართა, ავტო-სარემონტო ქარხნების და სახელოსნოების, მომსახურეობის სადგურების, ბენზინით შესაკაზმი სადგურების, სალტე-სარემონტო სახელოსნოების, საწყობების ტიპიურ პროექტებს და საავტომობილო წამოწყებათა მშენებლობის ნორმებს, რაც სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელ საავტომობილო ტრანსპორტისათვის.

ზ) ამუშავებს საქართველოს სსრ მთელი საავტომობილო ტრანსპორტისათვის ტვირთებისა და მგზავრთა გადაზიდვების ტარიფებს აგრეთვე საერთო სარგებლობის საწყობებში ტვირთების შენახვის ტარიფებს;

თ) უწევს კონტროლს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა უწყებათა საავტომობილო ტრანსპორტის წამოწყებათა მიერ დადგენილ ნორმების, წესებისა და ტარიფების შესრულებას, საქართველოს სსრ საავტომობილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის სახალხო კომისარიატიის სისტემაში საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექციის ორგანიზაციის საშუალებით.

ი) ამუშავებს და ურდგენს საქართველოს სსრ მთავრობას დასამტკიცებლად თავისი სისტემის საავტომობილო წამოწყებათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის შენაჯამ საპერსპექტივო, წლიურ და კვარტალურ გეგმებს.

კ) იხილავს და ამტკიცებს თავისი სისტემის საავტომობილო წამოწყებათა (გარაჟები, სარემონტო ქარხნები და სახელოსნოები, მომსახურეობის სადგურები, ბენზინის შესაკაზმი სადგურები, სალტე-სარემონტო სახელოსნოები, საწყობები და სხვა წამოწყებები) მშენებლობის საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ პროექტებს და მათთან დართულ ხარჯთაღრიცხვებს, ანხორციელებს ამ საავტომობილო წარმოწყებათა მშენებლობას და ხელმძღვანელობას უწევს თავისი სისტემის მთელ დანარჩენ კაპიტალურ მშენებლობას.

ლ) უშუალოდ განაგებს დაქვემდებარებულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წამოწყებებს და ორგანიზაციებს, აგრეთვე თავისი სისტემის სასწავლებლებს.

მ) უზრუნველყოფს დაქვემდებარებულ საავტომობილო წამოწყებების ცენტრალიზებული წესით ტექნიკურ და მატერიალურ მომარაგებას.

ნ) ხელმძღვანელობს სტახანოვური მოძრაობის განვითარებას, ხელს უწყობს სტახანოვური მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გადაცემას საავტომობილო წამოწყებებში, ამუშავებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებისათვის შრომის ორგანიზაციის, შრომის ნორმების და ხელფასის საკითხებს.

ო) ხელმძღვანელობს უშუალოდ დაქვემდებარებულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წამოწყებათა და ორგანიზაციების, აგრეთვე თავისი სისტემის სასწავლებლების საფინანსო მუშაობას, იმტკიცებს ანგარიშებს და ბალანსებს.

პ) ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ ყველა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წამოწყებათა და ორგანიზაციების, აგრეთვე სასწავლებლების წესდებებს და დებულებებს; ადგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაქვემდებარებულ წამოწყებათა და ორგანიზაციების საწესდებო ფონდების ოდენობას.

ჟ) ხელმძღვანელობს რაციონალიზაციას და გამომგონებლობას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საავტომობილო ტრანსპორტის მეურნეობაში, ანხორციელებს საგამომცემლო მუშაობას საავტომობილო ტრანსპორტის დარგში, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო საგამოკვლევო ბიუროს საშუალებით აწარმოებს სამეცნიერო- საგამომკვლევო მუშაობას.

რ) ხელს უწყობს საქართველოს სსრ ახალ საგზაო მშენებლობას და გზების ქსელის გაუმჯობესებას, რისთვისაც მონაწილეობას იღებს ახალი გზების მშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში, არსებულ გზების გაუმჯობესების და რემონტის და სხვ. გეგმების დამუშავებაში მონაწილეობის გზით.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარი ნიშნავს, მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წამოწყებათა და ორგანიზაციებისა, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის სასწავლებლების ხელმძღვანელებს. ამტკიცებს თავისი სისტემის წამოწყებათა და ორგანიზაციების მთავარ ბუღალტრებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრის ბრძანებით დამტკიცებული, განსაკუთრებული სიის მიხედვით.

III. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა

10. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებები და ჯგუფები:

ა) საწარმოო-ტექნიკური განყოფილება აწარმოებს ახალი ტექნიკის და ტექნიკური გაუმჯობესებათა დამუშავების და ათვისების ორგანიზაციას, ამუშავებს საავტომობილო ტრანსპორტის, საწარმოო მოწყობილობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებს, აგრეთვე ღონისძიებებს, ყველა სახის საწვავისა და მასალების ეკონომიისათვის, აწყობს ტექნოლოგიური პროცესების საუკეთესო მეთოდების გადატანას ერთი წამოწყებიდან სხვა წამოწყებაში. ამუშავებს კაპიტალური მშენებლობის საგეგმო დავალებებს, ანხორციელებს მუშაობას გამომგონებლობის და სტანდარტიზაციის დარგში, მონაწილეობს სამეცნიერო საგამოკვლევო მუშაობაში; ამუშავებს საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციის და რემონტის ნორმატივებს, ხელმძღვანელობს ტექნიკურ დანორმირებას სარემონტო და საექსპლოატაციო წამოწყებებში, ამუშავებს სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების დატვირთვა გადმოტვირთვის სამუშაოების და სასაწყობო შენახვის ხარჯებს, ანხორციელებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წამოწყებათა და ორგანიზაციების მიერ გეგმების შესრულების კონტროლს და უწევს მათ ტექნიკურ დახმარებას პროდუქციის ხარისხის ამაღლების, საავტომობილო ტრანსპორტის საუკეთესოდ გამოყენების და შენახვის, ენერგეტიულ დანადგარების და სადაზგო მოწყობილობათა წესიერი ექსპლოატაციის საკითხებში; ამუშავებს ღონისძიებებს უშიშროების ტექნიკის დარგში და კონტროლს უწევს მათ შესრულებას; ამუშავებს ღონისძიებებს სარემონტო და საექსპლოატაციო წამოწყებათა სტახანოველების საუკეთესო საწარმოო მიღწევათა გამოცდილების ათვისებასა და დანერგვაში; უწევს ოპერატიულ დახმარებას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის წამოწყებებს და ორგანიზაციებს მათს ყოველდღიურ საწარმოო საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საგეგმო-ეკონომიური განყოფილება—განაგებს ექსპლოატაციის, რემონტის, მშენებლობის, შრომის, თვითღირებულების დაგეგმის საკითხებს; შეისწავლის ტვირთების და სამგზავრო ნაკადების მოძრაობას და ამუშავებს საავტომობილო მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმებს; აწესრიგებს შრომისა და ხელფასის საკითხებს, იხილავს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის წამოწყებათა და ორგანიზაციების მიმდინარე გეგმებს და წარუდგენს მათ სახალხო კომისარს დასამტკიცებლად; აწარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წამოწყებათა და ორგანიზაციების სამეურნეო მოღვაწეობის სისტემატურ აღრიცხვას და ანხორციელებს გეგმის შესრულების ეკონომიურ ანალიზს.

გ) საფინანსო-საანგარიშო განყოფილება ადგენს შენაჯამ საფინანსო გეგმებს, წარუდგენს მათ სახალხო კომისარს დასამტკიცებლად და ანხორციელებს საბუღალტრო აღრიცხვას, ინსტრუქტაჟს და მეთვალყურეობას საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების დარგში, ანგარიშების და ბალანსების განხილვას, საფინანსო კონტროლს და დოკუმენტალური რევიზიების წარმოებას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ წამოწყებებში და ორგანიზაციებში.

დ) კაპიტალური მშენებლობის განყოფილება—განაგებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის საავტომობილო წამოწყებათა (გარაჟები, სარემონტო ქარხნები, მომსახურეობის სადგურები, საწყობები და სხვა ნაგებობები) მშენებლობისა და რემონტის საკითხებს; ამუშავებს კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის შენაკრებ გეგმებს და წარუდგენს მათ სახალხო კომისარს დასამტკიცებლად; ანხორციელებს კაპიტალური მშენებლობის და კაპიტალური რემონტის დამტკიცებული გეგმების შესრულების კონტროლს როგორც შესრულების ვადების, ისევე ხარისხობრივ და საფინანსო მაჩვენებლების მიხედვით; ამზადებს საექსპერტო ტექნიკურ საბჭოში განსახილველად გარაჟებისა, უგარაჟო დანადგარების ავტო-სარემონტო ქარხნების და სახელოსნოების, მომსახურეობის სადგურების საწყობებისა და სხვ. ტიპიურ პროექტებს, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელი საავტომობილო ტრანსპორტისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის საავტომობილო წამოწყებათა მშენებლობის ტექნიკურ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს და წარუდგენს მათ სახალხო კომისარს დასამტკიცებლად; უწევს ოპერატიულ დახმარებას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის მშენებლობებს:

ე) სპეც-განყოფილება.

ვ) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება,

ზ) სახალხო კომისართან არსებული კადრების მომზადებისა და აღრიცხვის ჯგუფი აწარმოებს სამეურნეო მუშაკების, საინჟინერო-ტექნიკური მომუშავეთა და სხვა იმ პირთა აღრიცხვას, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის აღრიცხვაზე; ამზადებს სახალხო კომისარისათვის წინადადებებს ხელმძღვანელ მუშაკების დანიშვნის შესახებ, განაგებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისათვის საინჟინერო-ტექნიკური კადრების, მასობრივ პროფესიის კადრების (შოფერები, შემკეთებლები, მექანიკოსები და სხვ.) მომზადებას და გადამზადებას მასობრივი საავტომობილო კურსების, დაუსწრებელი სწავლებისა, ტექნიკური მინიმუმის კურსების და უმაღლესი სასწავლებლების ქსელის საშუალებით; ამუშავებს სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, მეთოდურ მითითებებს და ანხორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ქსელის საავტომობილო სკოლების, ტექნიკუმების, საკურსო სწავლების ქსელის (წამოწყებებში გადამზადების და ტექნიკური მინიმუმის ქსელი) და სკოლის ასაკამდე დაწესებულებათა (საბავშვო ბაღები) აგრეთვე სკოლის გარეშე (საბავშვო მოედნები და სხვა) მუშაობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლების შესრულებას; აწყობს, უმაღლესი სასწავლებლის და ტექნიკუმების სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლას სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წამოწყებებში; საგეგმო ეკონომიურ განყოფილებასთან ერთად ამუშავებს კადრების მომზადების გეგმებს.

11. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატთან შესდგებიან:

ა) საექსპერტო-ტექნიკური საბჭო, რომელიც მოქმედებს თვით ანაზღაურების საფუძველზე და ამოცანად ისახავს გარაჟების, უგარაჟო დანადგარების, ავტოსარემონტო ქარხნების და სახელოსნოების, მომსახურეობის სადგურების, საწყობების და სხვა იმ ტიპიური პროექტების განხილვას, რომლებიც სავალდებულო არიან საქართველოს სსრ მთელი საავტომობილო ტრანსპორტისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის საავტომობილო წამოწყებათა მშენებლობის ტექნიკურ პროექტების და ხარჯთაღრიცხვების განხილვას.

ბ) სამეცნიერო-საგამოკვლევო ბიურო, რომელიც იმყოფება სამეცნიერო საგამოკვლევო სამუშაოებისათვის ანარიცხების ხარჯზე, რასაც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წამოწყებები გამოიღებენ.

გ) საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექცია.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემაში იმყოფებიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომქმედნი:

ა) საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და საექსპედიციო საწყობო ოპერაციების ტრესტი „საქავტოტრანსი“.

ბ) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საავტომობილო წამოწყებათა ტექნიკური და მატერიალური მომარაგების მთავარი სამმართველო „მთავ-ავტოტექმომარაგება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატში სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით იქმნება კოლეგია, რომელსაც აქვს რეგულარული სხდომები და უწინარეს ყოვლისა განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისადმი ქვემდებარე წამოწყებათა და ორგანიზაციების ანგარიშებს, აგრეთვე მნიშვნელოვან ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

სახალხო კომისრისა და კოლეგიის შორის უთანხმოების შემთხვევაში, სახალხო კომისარი ატარებს ცხოვრებაში თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრის წარდგენით.

14. ადგილებთან კავშირურთიერთობისათვის და გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისართან იქმნება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საბჭო, რომელიც მოიწვევა პერიოდულად და განიხილავს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრის წარდგენით.

15. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი ძირეული მუშაკების, სტახანოველების და მუშების გამოცდილების საუკეთესო გამოყენების და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, იწვევს სახალხო კომისარიატის აქტივს.

შესაბამისად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წამოწყებებში და ორგანიზაციებში ხელმძღვანელები იწვევენ აქტივებს, რომლებზედაც მოსმენილი და განხილული იქნება მოხსენებები სახალხო კომისარიატის უმნიშვნელოვანეს მითითებათა შესახებ, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის ცალკეული დარგების და წამოწყებების პრაქტიკულ მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

599 /300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

საქ. სახ. ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28
Полиграфкомбинат „Комунисти" имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28

УЭ 3170 შეკ. (Заказ) № 1203 ტირაჟი (Тираж) 2000